ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №37

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი თებერვალი 2023 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მამუკა შამილიშვილის სახით, (შემდგომში – „შემსყიდველი“) და მეორის მხრივ შპს „დათანატა“, წარმოდგენილი მისი დირექტორის როლანდ ქამადაძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი“), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტოს სასადილოებისთვის სხვადასხვა მასალების შესყიდვა.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერა მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში (განფასება) დანართი №2, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი;

1.3. კლასიფიკატორის კოდი: 31200000, 31210000. 31500000, 31530000. 44100000, 44110000. 44400000, 44410000, 44420000. 44500000, 44520000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 539 (ხუთას ოცდა ცხრამეტი ლარი) ლარს. მათ შორის:

ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა:

31200000 – 80 ლ.

31500000- 180 ლ.

44100000- 92 ლ.

44400000- 137 ლ.

44500000- 50ლ.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

3.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით, (სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი კვების უზრუნველყოფის პროგრამა) მიღება-ჩაბარების აქტის, ანგარიშ–ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე დოკუმენტის შედგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3.შემსყიდველის მხრიდან მოწოდებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს დირექტორი, მამუკა შამილიშვილი.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მისამართზე: ქ. ბათუმი, მიმწოდებლის მაღაზია (პუშკინის ქ.N80);

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად;

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს დირექტორი მამუკა შამილიშვილი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1.ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენებული იქნება საჯარიმო

სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2 %-ის ოდენობით.

8.2.საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.4.შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, როდესაც მიმწოდებელი ვერ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებს ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ანმისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონულად.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხივად შეწყვეტის შესახებ, გადაწყვეტილების მიღების შესახებ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს წერილობით - გაეგზავნოს შეტყობინება, სადაც მითითებული უნდა იყოს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2023 წლის 1 ივნისის ჩათვლით.

15. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შემსყიდველი: ა(ა)იპ ბათუმის სოციალურის სერვისების სააგენტო ს/კ445437705 მის: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის 90ა ხაზინის ერთიანი ანგარიში დირექტორი მამუკა შამილიშვილი	მიმწოდებელი: შპს „დათანატა“ ს/კ445488650 მის: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. N43-41 ბანკი: თიბისი ბანკი TBCBGE22 GE63TB7709336050100001 დირექტორი როლანდ ქამადაძე

Roland Kamadadze

Подписано цифровой подписью: Roland Kamadadze
Дата: 2023.02.24 11:33:35 +04'00'

ხარჯთაღრიცხვა (განფასება)								დანართი N2
N	დასახელება	მახასიათებელი	CPV	განზომილების ერთეული	შესყიდვის რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	მისამართი
1	GO-2477 მნათი მოწყობილობა ლედი	32W 120CM 6500K	31530000	ცალი	4	35	140	დიდაჭარის პირველი ჩიხი N1
2	GO-2476 მნათი მოწყობილობა ლედი	18W 160CM 6500K	31530000	ცალი	2	20	40	დიდაჭარის პირველი ჩიხი N1
3	ფისოვანი ცემენტი	25 კგ	44110000	ცალი	1	15,8	15,8	დიდაჭარის პირველი ჩიხი N1
4	ლამინირებული პროფილი	40X40 LAMINANT FARK 40X40	44110000	მეტრი	6	5,7	34,2	დიდაჭარის პირველი ჩიხი N1
5	გერმეტიკი	310 მლ უფერო	44110000	ცალი	1	21	21	დიდაჭარის პირველი ჩიხი N1
6	ბორბალი ავეჯისთვის	5C	44420000	ცალი	2	14	28	ტაბიძის N2
7	ბორბალი შეკვრაში	4oc-30	44420000	შეკვრა	2	12	24	ტაბიძის N2
8	თავი სახრახნისის	იტ 0486	44110000	ცალი	1	10	10	ტაბიძის N2
9	ჭანჭიკი		44110000	კგ	0,5	10	5	ტაბიძის N2
10	ავტოამომრთველი	EkF 3P 80A	31210000	ცალი	1	80	80	დადიანის N7
11	წყალსადენის საწმენდი	10მ 2,0*9MM*10M	44410000	ცალი	1	45	45	დიდაჭარის პირველი ჩიხი N1
12	დანის სათადარიგო პირები	10ც	44110000	ცალი	2	3	6	დიდაჭარის პირველი ჩიხი N1
13	კარის საკეტი	362	44520000	ცალი	2	25	50	დიდაჭარის პირველი ჩიხი N1
14	ეზოს ონკანი	სპილენძის საცმით	44410000	ცალი	2	20	40	დიდაჭარის პირველი ჩიხი N1
							539	

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ
წერილობითი დადასტურება

ქ. ბათუმი 2023 წელი თებერვალი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად ა(ა)იპ ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო (ს/კ445437705) წარმოდგენილი დირექტორის მამუკა შამილიშვილის სახით ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს მიერ 2023 წლის თებერვლის N37 ხელშეკრულებით შერჩეულ მიმწოდებელთან შ.პ.ს. „დათანატა“-სთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

დირექტორი:

მამუკა შამილიშვილი